კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში

14 სექტემბერი 2018

წინამდებარე ანგარიში შედგენილ იქნა მოკლევადიანი ექსპერტების იოლანტა ივანაუსკიენისა და ელონას სატასის მიერ, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ ფარგლებში (კონკრეტული ხელშეკრულება No. ENI/2016/377781, საიდენტიფიკაციო ნომერი: EuropeAid/137882/DH/SER/GE), აქტივობა 1.1.2. “საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობისა და საკანონმდებლო აქტების ცვლილებებისა და კანონპროექტების შემუშავების მხარდაჭერა“. იგი მოიცავს ინფორმაციას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების განსხვავებულ მოდელებთან დაკავშირებით.

არსებობს რამდენიმე ალტერნატივა იმისა, თუ როგორ შეიძლება გადანაწილდეს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მარეგულირებლებსა და კონკურენციის ორგანოებს შორის. აღნიშნული ალტერნატივები შეჯამებულია ICN (კონკურენციის საერთაშორისო ქსელი) სამუშაო ჯგუფების[1] ერთ-ერთ ანგარიშში, რომელშიც მითითებულია მხოლოდ სამი მათგანი. ყველაზე გავრცელებული ინსტიტუციური მოწყობა ეფუძნება მარეგულირებელი ხასიათის ქმედებებისა და კონკურენციის დაცვის ღონისძიებების ფუნქციონალურ დაყოფას. მარეგულირებელი ორგანოების მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა ეკონომიკის კონკრეტულ სფეროებში ex-ante (წინასწარი) ღონისძიებების საშუალებით. კონკრეტული მარეგულირებელი ორგანოს მიზანს წარმოადგენს საბოლოო ფასების რეგულირებისა და აღნიშნულ ბაზრებზე შესვლის ბარიერების მოხსნის გზით კონკურენციის პირობების განსაზღვრა ეკონომიკის იმ სფეროში, სადაც კონკურენცია არასათანადოდ ფუნქციონირებს. ხოლო, ამის პარალელურად, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების კომპეტენცია მინიჭებული აქვს კონკურენციის შესაბამის ორგანოს. ეს კი გულისხმობს, რომ კონკურენციის ორგანოები ფლობენ უფლებამოსილებას და ევალებათ იმ ნორმების აღსრულება, რომელიც შეეხება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებს, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და კონცენტრაციის

[1]კონკურენციის საერთაშორისო ქსელი, ანგარიში ანტიტრესტული კანონის აღსრულების შესახებ ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში, სამუშაო ჯგუფი მესამე ICN წლიურ კონფერენციაზე (2004). http://www.internationalcompetitionnetwork.org/uploads/library/doc377.pdf

კონტროლს. ფუნქციონალური დაყოფის მიდგომის უმთავარეს უპირატესობას წარმოადგენს გამჭვირვალობა და შესაბამისი კომპეტენციებისა თუ უფლებამოსილებების განხორციელების სპეციალიზაცია. თუმცა, ფუნქციონალურმა დაყოფამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკის კონკრეტულ სფეროში არსებული ცოდნისა თუ მიდგომების გაორება და მოხდეს კომპეტენციათა აღრევა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მარეგულირებლებსა და კონკურენციის ორგანოებს შორის მოხდეს მჭიდრო თანამშრომლობა და ინფორმაციის გაზიარება. ასეთ ინსტიტუციონალურ მოდელში კონკურენციის ორგანოს ფუნქციას წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება ex-post - მას შემდეგ რაც მოხდება კონკრეტული დარღვევის იდენტიფიცირება. კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი ორგანოები კი პასუხისმგებელნი არიან, წინასწარი რეგულაციის გზით, შესაბამის ბაზარს შესძინონ დამატებითი იმპულსები სრულფასოვანი განვითარებისთვის.

მეორე ალტერნატივა გულისხმობს მარეგულირებლისთვის ეკონომიკის შესაბამის სფეროსთან მიმართებაში სრული და ყოვლისმომცველი კომპეტენციის მინიჭებას, რომელიც აერთიანებს როგორც მარეგულირებელი, ასევე კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების უფლებამოსილებას. მთავარი პრობლემა, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ ინსტიტუციონალურ მოდელს, მდგომარეობს იმაში, რომ მან შესაძლოა წარმოშვას კონფლიქტი კონკურენციის დაცვის მიზანსა და იმ მიზანს შორის, რომლის მიღწევასაც ისახავს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი (მაგალითად, ფინანსური ბაზრების სტაბილურობა). ეს კი წარმოშობს კონკურენციის კანონმდებლობით დასახულ მიზნებსა თუ დაცულ სამართლებრივ სიკეთეებთან შედარებით, კონკრეტულ რეგულირებად სფეროსთან დაკავშირებული მიზნებისთვის გაცილებით უფრო მეტი პრიორიტეტის მინიჭების მნიშვნელოვან რისკებს.

მესამე შესაძლებლობას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ერთი ორგანო არის პასუხისმგებელი როგორც მარეგულირებელ, ასევე კონკურენციის კანონმდებლობაზე. ამ უკანასკნელს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები: კერძოდ, ეს გამორიცხავს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს შესწავლისა თუ მოკვლევის ორმაგ ხარჯს და უზრუნველყოფს კონკურენციის შეზღუდვების მინიმუმამდე შემცირებას შესაბამისი რეგულაციების გამოყენების გზით. თუმცა, აღნიშნული უფრო მეტად ართულებს ორგანოთა ინსტიტუციონალურ მოწყობას, იწვევს, ბიუროკრატიის ზრდასა და ორგანოთა შესაძლებლობების შეზღუდვას - დაუყოვნებლივ განახორციელონ შესაბამისი ღონისძიები. გარდა ამისა, შესაძლოა მარეგულირებელ ღონისძიებებს მიენიჭოთ უპირატესობა იმდენად რამდენადაც, არჩევანის შესაძლებლობის შემთხვევაში, ბიუროკრატიისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდეს ნათელი და პირდაპირი მარეგულირებელი ღონისძიება, იმ არაპირდაპირ ზომებთან შედარებით,

რომელსაც ითვალისწინებს კონკურენციის კანონმდებლობა.

ევროკავშირის დონეზე, კონკურენციის კანონმდებლობა ვრცელდება ეკონომიკის ყველა რეგულირებად სფეროში და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების გადაწყვეტილებებსა და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობას შორის კოლიზიის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება.[2] ასეთი მიდგომა ასევე გამოიყენება წევრ სახელმწიფოებში, სადაც კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება წარმოადგენს კონკურენციის ორგანოების კომპეტენციას (ეკონომიკის ყველა სფეროში) და რეგულაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე უფლებამოსილ ორგანოებს კი წარმოადგენენ სექტორის მარეგულირებლები. ქვემოთ მოცემული ცხრილი ცხადჰყოფს, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებასთან მიმართებაში უპირატესობას ანიჭებს ამ კონკრეტულ მოდელს. თუმცა, არსებობს ეროვნული სისტემები, სადაც კონკურენციის კანონმდებლობასთან ერთად მარეგულირებელი უფლებამოსილებებიც თავს იყრის ერთი ორგანოს ქვეშ (ესპანეთი, ნიდერლანდები, ესტონეთი). ხოლო მეორე ალტერნატივა, როდესაც მარეგულირებელს აქვს სრული კომპეტენცია სფეროზე, რაც რეგულირებასთან ერთად ასევე გულისხმობს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებას ამ სფეროში, საკმაოდ იშვიათად გამოიყენება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში.

კონკურენციის ორგანოებსა და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებლებს შორის ურთიერთობის შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანგარიშში აღნიშნულია, რომ კონკურენციის ორგანოებს ყველაზე მეტად შესწევთ კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების უნარი, რადგან ისინი სათანადოდ არიან ადაპტირებულნი და ფლობენ შესაბამის გამოცდილებასა და ცოდნას სხვადასხვა სასაქონლო თუ მომსახურების ბაზრებზე აღასრულონ კონკურენციის კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრების განსაზღვრის, კონკურენციისთვის ზიანის მიყენების ალბათობის შეფასების, საწყისი პირობებისა და მნიშვნელოვანი საბაზრო უფლებამოსილების შეფასებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები განსაკუთრებით კარგად შეესაბამება კონკურენციის ორგანოების კომპეტენციასა და კვალიფიკაციას. ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოები კი, როგორც წესი, ფლობენ სპეციალურ

[2]ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში (C-280/08 P Deutsche Telekom, C-295/12 P Telefonica) დადასტურა, რომ ანტიტრესტული დებულებების გამოყენების სფერო (აღნიშნულ შემთხვევებში მუხლი 102 TFEU) არ შეიძლება შემოიფარგლოს მარეგულირებელი სტრუქტურის არსებობით ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში. .

ცოდნას შესაბამისი რეგულირებადი სასაქონლო და მომსახურების ბაზრისათვის აუცილებელ ტექნიკური ასპექტებთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნიშნულ მარეგულირებელ ორგანოებს, კონკურენციის ორგანოებთან შედარებით, უფრო მეტად შესწევთ უნარი მოახდინონ შესაბამისი ბაზრების ტექნიკური რეგულირება.[3]

გაერთიანებულ სამეფოში მოქმედებს უნიკალური მოდელი, რომელიც გულისხმობს, რომ კონკურენციის კანონმდებლობა აღსრულდება ბაზრებისა და კონკურენციის ორგანოსა (CMA) და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოების მიერ (მარეგულირებელ ორგანოებსა და კონკურენციის უწყებას კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით გააჩნიათ ერთობლივი უფლებები).

ქვეყანა	კონკურენციის სააგენტო	ენერგო სექტორი მარეგულირებელი	კომუნიკაციების მარეგულირებელი	ცენტრალური ბანკი	კომენტარები
1. ავსტრია	*<u>კონკურენციის ფედერალური სააგენტო (FCA)</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	დიახ ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობ	დიახ ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობ	არა	FCA იკვლევს კონკურენციის შესაძლო შეზღუდვებს და განიხილავს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებებს. თუმცა გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ შეთანხმებებს, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, კონცენტრაციების აკრძალვებს, მიიღება კონკურენციის სამართალში სპეციალიზებული სასამართლოს მიერ, FCA-ს განცხადების საფუძველზე. ენერგეტიკისა და კომუნიკაციების მარეგულირებლები ასევე უფლებამოსილნი არიან გამოიკვლიონ კონკურენციის შესაძლო

[3] OECD მსოფლიო ფორუმი კონკურენციის შესახებ, მოხსენება შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: "ურთიერთობა კონკურენციის სააგენტოებს და სექტორის მარეგულირებლებს შორის", DAF/COMP/GF(2005)2, პარაგრაფი 16.
http://www.oecd.org/officialdocuments/publicdisplaydocumentpdf/?cote=DAF/COMP/GF(2005)2&doclanguage=en

		ის ბოროტად გამოყენება	ის ბოროტად გამოყენება		შეზღუდვები (ჰორიზონტალური ან ვერტიკალური შეთანხმებები, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) თავიან სფეროებში და მიმართონ კონკურენციის სამართალში სპეციალიზებულ სასამართლოს სანქციის დაკისრების მოთხოვნით. სექტორის მარეგულირებლებს არ აქვთ კომპეტენცია შერწყმების კონტროლთან დაკავშირებით.
2. ბელგია	*<u>ბელგიის კონკურენციის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	სექტორის მარეგულირებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის სფეროში და გაზისა და ელექტროენერგიის სფეროში, უნდა გასაჩივრდეს კონკურენციის საბჭოში .
3. ბულგარეთი	*<u>კონკურენციის დაცვის კომისია</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის	არა	არა	არა	

	კონტროლი				
4. ხორვატია	*<u>ხორვატიის კონკურენციის სააგენტო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	ხორვატიის ცენტრალურ ბანკს ჰქონდა საბანკო სექტორში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების უფლებამოსილება სანამ ხორვატია შეუერთდებოდა ევროკავშირს (2013 წლის 1 ივლისი). ამ თარიღის შემდეგ საბანკო სექტორი შედის კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციის სფეროში.
5. კვიპროსი	*<u>კონკურენციის დაცვის კომისია</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
6. ჩეხეთის რესპუბლიკა	*<u>კონკურენციის დაცვის სამსახური</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები	არა	არა	არა	

	დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი				
7. დანია	*<u>დანიის კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
8. ესტონეთი	*<u>კონკურენციის სააგენტო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	ესტონეთის კონკურენციის სააგენტოს კომპეტენცია მოიცავს კონკურენციის ზედამხედველობის ფუნქციასა და მრავალსექტორულ მარეგულირებელ ფუნქციებს. კონკურენციის განყოფილება ახორციელებს კონკურენციასთან დაკავშირებულ ზედამხედველობას, კონცენტრაციის კონტროლს ეკონომიკის ყველა სფეროში, აანალიზებს კონკურენციის მდგომარეობას და ამაღლებს ინფორმირებულობას კონკურენციასთან დაკავშირებით. მარეგულირებელი განყოფილება ახორციელებს ფასის რეგულირებასა და ბაზრის ზედამხედველობას ელექტროენერგიის, ბუნებრივი

					გაზის, ცენტრალური გათბობის, წყლის, რკინიგზისა და საფოსტო მომსახურებების ბაზრებზე.
9. ფინეთი	*<u>ფინეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	კონცენტრაცია ფინანსურ სექტორში უნდა ეცნობოს ფინეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ორგანოს მას შემდეგ, რაც კონცენტრაციის მხარეები ინფორმირებულნი იქნებიან ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს ნებართვის შესახებ, ან იმის შესახებ, რომ ფინანსური ზედამხედველობის ორგანო არ ეწინააღმდეგება კონცენტრაციას. შეტყობინება არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ზედამხედველობის ორგანო მოითხოვს ამონაწერს ფინეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტოდან კონცენტრაციის შესახებ და თუ ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ კონცენტრაციის ნებართვის არანაირი ხელშემშლელი ფაქტორი არ არსებობს.
10. საფრანგეთი	*<u>კონკურენციის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
11. გერმანია	*<u>კონკურენციის ფედერალური ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური	დომინანტური მდგომარეობის ბოროტად	დომინანტური მდგომარეობის ბოროტად	არა	სექტორის მარეგულირებელი (Bundesnetzagentur, BNetzA.) პასუხისმგებელია ტელეკომუნიკაციების, ენერგეტიკის, საფოსტო და რკინიგზის მომსახურებებზე. თითოეული მოცემული

	შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	გამოყენება	გამოყენება		სექტორისთვის უნდა განისაზღვროს ბაზრები, რომელიც უნდა მოექცეს რეგულირების ფარგლებში. აღნიშნული და მხოლოდ აღნიშნული ბაზრებისთვის, რომლებიც ექვემდებარება რეგულირებას, BNetzA პასუხისმგებელია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხებზე. იმის უზრუნველყოფისთვის, რომ აღნიშნულ რეგულირებულ ბაზრებზე ბოროტად გამოყენების საკითხებზე მიღებულ იქნას შეთანხმებული გადაწყვეტილებები, კონკურენციის კანონი, ARC, განსაზღვრავს კონსულტაციის პროცესს BNetzA-სა და Bundeskartellamt-ს შორის. კონკურენციის შეზღუდვების აქტი ექსკლუზიურად გამოიყენება Budeskartellamt-ს მიერ. კონკურენციის შეზღუდვების საწინააღმდეგო კანონი გამოიყენება და აღსრულდება ექსკლუზიურად Bundeskartellamt-ის მიერ.
12. საბერძნეთი	*<u>საბერძნეთის კონკურენციის დაცვის კომისია</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	დიახ ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად	არა	საბერძნეთის ტელეკომუნიკაციებისა და ფოსტის კომისია უფლებამოსილია გამოიძიოს კონკურენციის შესაძლო შეზღუდვები (ჰორიზონტალური ან ვერტიკალური შეთანხმებები, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მათ შორის ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე და 102-ე მუხლები) რელევანტურ სექტორებში, რომელიც შედის მისი რეგულირების ფარგლებში. კონცენტრაციების კონტროლი არის საბერძნეთის კონკურენციის

			გამოყენება		კომისიის ექსკლუზიური უფლებამოსილება.
13. უნგრეთი	*<u>უნგრეთის კონკურენციის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
14. ირლანდია	*<u>კონკურენციის და მომხმარებელთა დაცვის კომისია</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	დიახ ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	არა	კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას (ComReg) შეუძლია კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან მიმართებაში განხორციელებული მოკვლევის შედეგად ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ვალდებულებები და ამის შემდეგ მიმართოს სასამართლოს აღნიშნული ვალდებულებების დასამტკიცებლად
15. იტალია	*<u>გაზრებისა და კონკურენციის დაცვის ორგანო</u>*	არა	არა	არა	

	ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი				
16. ლატვია	*ლატვიის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭო* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
17. ლიტვა	*ლიტვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭო* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის	არა	არა	არა	

	კონტროლი				
18. ლუქსემ ბურგი	*<u>კონკურენციის საბჭო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	არა	არა	არა	ლუქსემბურგში არ არსებობს შერწყმების კონტროლი.
19. მალტა	*<u>მალტის მომხმარებელთა და კონკურენციის საქმეთა ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
20. ნიდერლ ანდები	*<u>მომხმარებელთა და ბაზრების დაცვის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური	არა	არა	არა	ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ფუნქციები ინტეგრირებულია და კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებასთან მიმართებაში სრულ უფლებამოსილებას ფლობს მომხმარებელთა და ბაზრების დაცვის ორგანო - ACM.

	მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი				
21. პოლონეთი	*<u>კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სამსახური</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
22. პორტუგალია	*<u>პორტუგალიის კონკურენციის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
23. რუმინეთი	*<u>კონკურენციის საბჭო</u>* ჰორიზონტალური და	არა	არა	არა	

	ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი				
24. სლოვაკეთი	*<u>სლოვაკეთის რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური სამსახური</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	
25. სლოვენია	*<u>კონკურენციის დაცვის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	არა	არა	არა	

	კონცენტრაციის კონტროლი				
26. ესპანეთი	*<u>გაზრებისა და კონკურენციის დაცვის ეროვნული სააგენტო</u>* (CNMC) ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	არა	არა	არა	CNMC არის ერთადერთი სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია კონკურენციის კანონმდებლობის სახელმწიფო აღსრულებაზე. მიუხედავად ამისა, CMNC არის მრავალფუნქციური მარეგულირებელი, რომელიც აერთიანებს ტელეკომუნიკაციების და მედიის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და საფოსტო მომსახურებების რეგულირებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს. CNMC ფარგლებში წარმოდგენილია ოთხი დირექტორატი, თითოეული პასუხისმგებელია კონკურენციაზე, ტელეკომუნიკაციებზე, ენერგეტიკაზე, ფოსტასა და ტრანსპორტზე. კონკურენციის საკითხებზე პასუხისმგებელ დირექტორატს ეკისრება საგამოძიებო ფუნქციები, რომელიც აღწერილია კანონში კონკურენციის დაცვის შესახებ, მაგ. შეთანხმებული ქმედება, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და შერწყმების კონტროლი.
27. შვედეთი	*<u>კონკურენციის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის	არა	არა	არა	

	კონტროლი				
28. გაერთიანებული სამეფო	*<u>ბაზრებისა და კონკურენციის დაცვის ორგანო</u>* ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონცენტრაციის კონტროლი	დიახ ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	დიახ ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	დიახ ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	გაერთიანებულ სამეფოში, ეკონომიკის რეგულირებად სფეროში როგორც CMA-ს, ასევე რელევანტური სექტორის მარეგულირებელს აქვს უფლება გამოიყენოს კონკურენციის კანონის კონკრეტული ნორმები, კერძოდ აღასრულოს ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს ამკრძალავი ნორმები კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებსა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით. კომპეტენციასთან დაკავშირებულ დავასთან მიმართებაში CMA-ის აქვს შეუზღუდავი უფლება მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული პროცედურა შერწყმების კონტროლის შესახებ ხორციელდება მხოლოდ CMA-ს მიერ. შეზღუდულ შემთხვევებში, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ინტერესებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე შესაძლოა მონაწილეობა მიიღონ ბიზნესის, ენერგეტიკისა და სამრეწველო სტრატეგიის, (BEIS) ან კულტურის, მედიის და სპორტის მინისტრებმა.